სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

ანგარიში

2026 წელი

მეორე კვარტალი

შესავალი .....2 გვ

ქართული ღვინის პოპულარიზაცია ..... 3 გვ.

ექსპორტი .....14 გვ.

ღვინის ხარისხის კონტროლი ..... 15 გვ.

ვენახების კადასტრი .....16 გვ.

ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია ..... 17 გვ

საკანონმდებლო ცვლილებები ..... 18 გვ.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge, https://www.facebook.com/nationalwineagency/

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ძირითადი საქმიანობა მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ღვინის ეროვნული სააგენტო შემდეგი მიმართულებებით მუშაობს:

- მევენახეობის განვითარება;
- ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;
- რთველის პროცესის ხელშეწყობა;
- ქართული ვაზის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;
- ქართული ღვინის ადგილწარმოშობების სისტემის განვითარება;
- ღვინის ლაბორატორიული კვლევა.
- საკანონმდებლო საქმიანობა

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge, https://www.facebook.com/nationalwineagency/

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო 11 გამოფენა ფესტივალზე მსოფლიოს 8 ქვეყანაში: იაპონია, იტალია, სლოვენია, საბერძნეთი, აშშ, ავსტრია, დიდი ბრიტანეთი და ბელარუსი.

ქართული ღვინის 80-მდე პრეზენტაცია-დეგუსტაცია გაიმართა მსოფლიოს 10 ქვეყანაში: გერმანია, ავსტრალია, აშშ, თურქეთი, ნორვეგია, საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია, სამხრეთ კორეა და დიდი ბრიტანეთი

ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოში გაიმართა 13 ღონისძიება (მასტერკლასი, გამოფენა, ფესტივალი, კონკურსი, ფორუმი).

უცხოელი ღვინის პროფესიონალების, სავაჭრო სფეროსა და მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით, საქართველოში გაიმართა ღვინის 9 ტური.

როგორც ქვეყნის გარეთ, ისე საქართველოს მასშტაბით, ღონისძიებებში 200-მდე ღვინის კომპანია და მარანი მონაწილეობდაა.

მეორე კვარტალში გამართული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

Road Show

7-13 აპრილს, იაპონიის ქალაქებში - საპორო, სენდაი და ტოკიო, ქართული ღვინის დეგუსტაციები და სემინარები, ე.წ. „Road Show“ გაიმართა. აღნიშნული ღონისძიებები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, ერთ სივრცეში შეხვდნენ პოტენციურ იმპორტიორებს, დისტრიბუტორებს, HoReCa სექტორის წარმომადგენლებსა და ღვინის ექსპერტებს, ასევე წარადგინონ საკუთარი პროდუქცია და იაპონელ მომხმარებლებს გააცნონ ქართული ღვინის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, უნიკალური ყურძნის ჯიშები და მეღვინეობის ტრადიციები, რომლებიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან

ნაწილს წარმოადგენს. იაპონიის ბაზარი გამოირჩევა მაღალი ხარისხის პროდუქციისადმი განსაკუთრებული მოთხოვნითა და ავთენტური, განსხვავებული გემოებისადმი მზარდი ინტერესით. სწორედ ამ კონტექსტში ქართული ღვინო, თავისი მრავალფეროვანი გემოებითა და ტრადიციული წარმოების მეთოდებით, მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას იძენს.

ქართული ღვინის დეგუსტაცია თურქეთში

15 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და ასოციაციის „ქართული ღვინო“ ორგანიზებით, ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა თურქეთის რესპუბლიკის დედაქალაქ სტამბოლის ისტორიულ და კულტურულ ცენტრში “SALT Galata” გაიმართა. ღონისძიება სახელწოდებით „Georgian Wine in Focus”, მოიცავდა მასტერკლასსა და დეგუსტაციას, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 15 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინოები. ქართული ღვინის მასშტაბურ წარდგენას ღვინის პროფესიონალები, ბაიერები, HoReCa სექტორის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები დაესწრნენ.

ქართული ღვინის დეგუსტაცია პოლონეთში

16 აპრილს, ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი პოლონური მარკეტინგული კომპანიის „People PR” ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია პოლონეთის ქალაქ გდანსკში გაიმართა. ღონისძიებას ღვინის პროფესიონალები “HoReCa” - სასტუმრო, რესტორანი, კაფე - სექტორიდან დაესწრნენ. პოლონეთი ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც ქართული ღვინო ხელმისაწვდომია როგორც HoReCa სექტორში, ისე ქსელურ მარკეტებსა და ღვინის მაღაზიებში. მიმდინარე წელს პოლონეთში ქართული ღვინის მარკეტინგულ კამპანიას „People PR” წარუძღვება, რომელთანაც ღვინის ეროვნული სააგენტო 2022 წლიდან თანამშრომლობს.

ქართული ღვინის დეგუსტაცია ნორვეგიაში

19 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და ნორვეგიული კომპანიის „Gvino AS“ ორგანიზებით, ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, ისტორიულ შენობაში „Gamle Logen" ქართული ღვინის ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობდა ქართული ღვინის მწარმოებელი 13 კომპანია. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინის

პროფესიული დეგუსტაცია, პრეზენტაციები, B2B შეხვედრები და სემინარი, რომლებსაც ადგილობრივი იმპორტიორები, დისტრიბუტორები, HoReCa სექტორისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კომპანია „Gvino AS“ 2018 წლიდან აქტიურად არის ჩართული ნორვეგიის ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციაში. მისი საქმიანობა მოიცავს დეგუსტაციების, მასტერკლასებისა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას. ნორვეგიაში ქართული ღვინის ფესტივალი პირველად 2023 წელს გაიმართა და დღეს უკვე ჩამოყალიბებულია, როგორც ქართული ღვინის პოპულარიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლატფორმა.

Orange Wine Festival

24 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 10 კომპანია სლოვენიის რესპუბლიკის ქალაქ იზოლაში გამართულ ქარვისფერი ღვინოების საერთაშორისო ფესტივალში „Orange Wine Festival“ მონაწილეობდა. ფესტივალი „Orange Wine Festival“ 2012 წელს დაარსდა და ის წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იმართება. გამოფენას ტრადიციულად ღვინის სფეროში მოღვაწე პროფესიონალები, სომელიეები, იმპორტიორები, დისტრიბუტორები, HoReCa და მედია სექტორის წარმომადგენლები, დაესწრნენ. გამოფენის ფარგლებში გაიმართა დეგუსტაციები და ასევე დისკუსიები მსოფლიო ღვინის ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობებსა და პერსპექტივებზე. საერთაშორისო ფესტივალში ქართული ღვინის მარნების მონაწილეობა შესაძლებლობას იძლევა, რომ ქართული ღვინო ფართო მასშტაბით წარმოჩინდეს როგორც მომხმარებლების, ისე ღვინის საერთაშორისო ექსპერტებისა და ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების წინაშე.

GLUCK GLUCK Naturweinfest

25 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ქალაქ ჰამბურგში გამართულ ბუნებრივი ღვინოების ფესტივალში ,,GLUCK GLUCK Naturweinfest“ შვიდი საოჯახო მარანი მონაწილეობდა. ,,GLUCK GLUCK Naturweinfest“ ბუნებრივი ღვინის ფესტივალია, რომელიც ევროპის ქვეყნების მეღვინეებსა და ღვინის მოყვარულებს აერთიანებს. 2026 წლის ფესტივალში 50-მდე ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა საქართველოდან, იტალიიდან, ჩეხეთიდან, სლოვენიიდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან. გერმანია ევროპაში ყველაზე დიდი იმპორტიორი და ღვინის მომხმარებელი ქვეყანაა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მხარდაჭერილი აქტივობებისა და ქართული ღვინის მწარმოებლებთან თანმიმდევრული თანამშრომლობის შედეგად, შექმნილია ქართული ღვინის ექსპორტის მზარდი ტენდენცია.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge, https://www.facebook.com/nationalwineagency/

Vinexpo America

29-30 აპრილს, ქალაქ მაიამიში ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე „Vinexpo America“ ქართული ღვინის მწარმოებელმა 12-მა კომპანიამ საკუთარი პროდუქცია ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით წარადგინა. მსგავსი მასშტაბის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ექსპორტის ზრდისა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის ხელშეწყობისთვის. „Vinexpo America“-ზე მონაწილეობით ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ მსოფლიო ღვინის ბაზრის თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს და დაამყარონ ახალი სავაჭრო პარტნიორული ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებში. აშშ ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს ქართული ღვინისთვის, სადაც მაღალია როგორც ხარისხის მოთხოვნები, ისე კონკურენციის დონე. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელებულმა არაერთმა ღონისძიებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართული ღვინის ცნობადობის ზრდას ამერიკის ბაზარზე.

ქართული ღვინის წარდგენა საბერძნეთის რესპუბლიკაში

30 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით ქალაქ ათენში, ისტორიულ შენობაში „The Hellenic Armed Forces Officers' Club“ ქართული ღვინის დეგუსტაცია და საზეიმო მიღება გაიმართა. დეგუსტაციაში მონაწილეობა მიიღო ქართული ღვინის მწარმოებელმა 22 კომპანიამ, რომლის წარმომადგენლებსაც ღონიძიების ფარგლებში შესაძლებლობა მიეცათ შეხვედროდნენ ადგილობრივ პოტენციურ პარტნიორებსა და ღვინის პროფესიონალებს. საზეიმო მიღებას დაესწრნენ საბერძნეთში აკრედიტირებული სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების წარმომადგენლები. აღსანიშავია, რომ საბერძნეთის რესპუბლიკაში დაინტერესება დიდია ქართული ქვევრის ღვინის მიმართ.

8 მაისი - ღვინის ეროვნული დღე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ქართული ღვინის, როგორც ქვეყნის იდენტობისა და უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობის, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და მასთან დაკავშირებული ტრადიციების წარმოჩენის მიზნით, ყოველწლიურად 8 მაისს ღვინის ეროვნული დღე აღინიშნება.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge, https://www.facebook.com/nationalwineagency/

2026 წლის 8 მაისს, ღვინის ეროვნული დღის ფარგლებში გაიმართა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ღვინის ინდუსტრიისა და სამეცნიერო წრის წარმომადგენლები, ასევე ღვინის სექტორში მოღვაწე უცხოელი პროფესიონალები. სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოს ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) გენერალური დირექტორი ჯონ ბარკერი ეწვია.

კონფერენციაზე განხილული იყო „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის“ სამეცნიერო პროექტის მიღწევები და მიმდინარე საქმიანობა. ასევე, სხვადასხვა ქვეყნის სპიკერებმა ისაუბრეს გლობალური ღვინის ბაზრის მდგომარეობაზე, ახალ გამოწვევებზე, საექსპორტო ბაზრების სპეციფიკებსა და ამ ბაზრებზე დამკვიდრების შესაძლებლობებზე.

ღვინის ეროვნული დღის ფარგლებში გუდიაშვილის მოედანზე მოეწყო ღვინის დეგუსტაციები, ასევე 8 000-წლიანი ღვინის ისტორიის თემაზე შემეცნებითი და გასართობი აქტივობები. ღონისძიება დასრულდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენა გაიმართა.

სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოში განხორციელდა შვიდი ღვინის ტური აშშ-და, აზიისა და ევროპის ქვეყნებიდან.

საქართველო მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ღვინის სამშობლო, სადაც მევენახეობა-მეღვინეობის უწყვეტი ისტორია 8 000 წელს ითვლის. არქეოლოგიური აღმოჩენები, ქვევრის ღვინის დაყენების უნიკალური მეთოდი და ღვინის განსაკუთრებული ადგილი ქართულ კულტურაში ერთობლიობაში ქმნის საფუძველს, რომ ქართული ღვინო ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ ღირებულებად ითვლება.

RAW Wine Tokyo

10-11 მაისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ღვინის მწარმოებელი ოთხი საოჯახო მარანი იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართულ გამოფენაში ,,RAW Wine Tokyo” მონაწილეობდა. გამოფენაზე „RAW Wine” (The Artisan Wine Fair) მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიკური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. გამოფენის ორგანიზატორია ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონი.გამოფენის სტუმრები ქართული ღვინის წარმოების უძველეს ტრადიციებსა და კულტურას გაეცნენ. იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული საექსპორტო ბაზარია. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, იაპონურ ბაზარზე ქართული ღვინის პირველი მასშტაბური წარდგენა 2014 წელს მოხდა. მას შემდეგ, სახელმწიფოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის კომპანიები მუდმივად მონაწილეობენ პრესტიჟულ საერთაშორისო გამოფენებში Foodex Japan და Wine and Gourmet Japan, ტარდება ქართული ღვინის წარდგენა-დეგუსტაციები იაპონიის სხვადასხვა ქალაქში, იაპონელი ღვინის პროფესიონალებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ეწყობა ღვინის ტურები საქართველოს ყველა რეგიონში.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge, https://www.facebook.com/nationalwineagency/

ქართული ღვინის წარდგენა საფრანგეთში

11-16 მაისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს და საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, პარიზში, ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციები სასტუმროში "Ritz Paris", მიშელინის ვარსკვლავის მფლობელ რესტორანში „Episode“ და საფრანგეთის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გასტრონომიის უმაღლეს სკოლაში „Ferrandi“ გაიმართა. ღონისძიებას HoReCa სექტორისა და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციებს სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე ანა გოდაბრელიძე უძღვებოდა. მოწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართული ღვინის მრავალფეროვნებას, ღვინის წარმოების ტრადიციულ მეთოდებსა და ქართული მეღვინეობის კულტურას.

VieVinum

16-18 მაისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს და ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, მასშტაბურ საერთაშორისო ღვინის გამოფენაში „VieVinum“ ქართული ღვინის მწარმოებელი 24 კომპანია და მარანი მონაწილეობდა. „VieVinum“ ავსტრიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღვინის გამოფენაა, რომელიც 1998 წლიდან ტარდება. ღონისძიება ორ წელიწადში ერთხელ ვენაში, ისტორიულ "ჰოფბურგის" სასახლეში იმართება და მასში მონაწილეობენ ღვინის მწარმოებლები, ექსპერტები, სავაჭრო სფეროს წარმომადგენლები და ღვინის მოყვარულები მსოფლიოს სხვადასხვა მეღვინეობის ქვეყნიდან. საქართველო გამოფენაში წელს პირველად მონაწილეობდა და "სპეციალური სტუმრის" სტატუსით იყო წარმოდგენილი. ამ სტატუსის ფარგლებში ქართულ მხარეს სპეციალური საგამოფენო და სადეგუსტაციო სივრცეები დაეთმო.

London Wine Fair

18-20 მაისს, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა „London Wine Fair“ წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას ქართველი მწარმოებლებისთვის ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიების, ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის გაზრდის კუთხით. გამოფენა ლონდონში 1981 წლიდან ტარდება და ღვინის სექტორში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად ითვლება. გამოფენას, ტრადიციულად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ათასობით სტუმარი, მათ შორის, ღვინის ექსპერტი, ღვინით ვაჭრობის სფეროს და მედიის წარმომადგენელი ესწრება. გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ბრიტანული კომპანიის „Swirl Wine Group“ ხელმძღვანელმა, ღვინის მაგისტრმა სარა ებოტმა (Sarah Abbott) ღვინის პროფესიონალებისთვის ქართული ღვინის სამი პრეზენტაცია-დეგუსტაცია გამართა.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge, https://www.facebook.com/nationalwineagency/

ქართული ღვინის დეგუსტაცია სამხრეთ კორეაში

20 მაისს, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა კორეის რესპუბლიკის დედაქალაქში ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კორეული მარკეტინგული კომპანიის „Wine21.com" ორგანიზებით გაიმართა. სეულში გამართული ღონისძიება მოიცავდა პროფესიულ მასტერკლასს და დეგუსტაციას 60-მდე მოწვეული სტუმრისთვის, რომელთა შორის მეღვინეობის დარგის ექსპერტები, სომელიეები, მედიის წარმომადგენლები და ინფლუენსერები იყვნენ. დეგუსტაციას კორეელი ღვინის მწერალი სანგმი კიმი უძღვებოდა. აზიის რეგიონში კორეის რესპუბლიკა, ჩინეთთან და იაპონიასთან ერთად, ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიება იმართება. ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანია „Wine21.com" კორეის რესპუბლიკაში ღვინის ყველაზე მსხვილი ონლაინ პორტალია, რომელიც შექმნილია დარგის ექსპერტების მიერ და მომხმარებლებს სთავაზობს ამომწურავ ინფორმაციას კორეის ბაზარზე არსებული ღვინოების შესახებ. კომპანია ასევე ახორციელებს PR და მარკეტინგულ საქმიანობას.

26 მაისი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტო ქალაქ ამბროლაურში კონცეფციით - „საქართველო ღვინის სამშობლო" იყო წარმოდგენილი. მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სახის ღონისძიებებით აღინიშნა. ამბროლაურის ახალ ბულვარში მოწყობილ საზეიმო სივრცეში წარმოდგენილი იყო ქართული ღვინისა და ვაზის კულტურის ისტორიასა და ტრადიციებთან დაკავშირებული ვიზუალური და საინფორმაციო მასალა. ღონისძიებაში რაჭისა და ლეჩხუმის რეგიონებიდან 10 ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან 1700 წლის იუბილესთან დაკავშირებით, წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ღონისძიებები გაიმართა კონცეფციით - „1700 წელია, რწმენა გვაძლიერებს - სიყვარული გვაერთიანებს".

"ღვინის ქარხანა №1" -ის ენოთეკაში დაცული ალკოჰოლური სასმელების უნიკალური კოლექციის შესწავლა იწყება

28 მაისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი თბილისში, „ღვინის ქარხანა №1"-ის

ტერიტორიაზე არსებული უნიკალური ენოთეკის გახსნის ღონისძიებას დაესწრნენ და სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს. მინისტრმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა აღნიშნული პროექტის განხორციელების მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ უნიკალური ენოთეკის გახსნა განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა ქართული ღვინის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობისთვის.

„ღვინის ქარხანა №1“-ის ტერიტორიაზე არსებულ ენოთეკაში, წინასწარი მონაცემებით, დაახლოებით 20 ათასამდე საკოლექციო ბოთლი ინახება. კოლექცია ორ საუკუნეზე მეტი ხნის დაძველების როგორც ქართულ, ისე უცხოურ პრემიუმ კლასის ღვინოებს აერთიანებს. აქვე დაცულია ნაპოლეონ ბონაპარტის, იოსებ სტალინის და სხვა ისტორიულ ფიგურებთან დაკავშირებული უნიკალური ნიმუშები.

ღვინის ენოთეკა სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ღვინის ეროვნულ სააგენტოს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ და უვადოდ გადასცა. იგეგმება ენოთეკაში დაცული ალკოჰოლური სასმელების ბოთლების იდენტიფიცირება და მათი წარმოშობის დადგენა.

უნიკალური ენოთეკის გახსნა და მისი შესწავლა შესაძლებლობას იძლევა, ქართული ღვინო კიდევ ერთხელ მოექცეს საერთაშორისო ყურადღების ცენტრში და წარმოდგენილი ნიმუშები მსოფლიოს მსხვილი აუქციონების ლოტებად იქცეს.

აღსანიშნავია, რომ „ღვინის ქარხანა №1“ XIX საუკუნის ეროვნული არქიტექტურის გამორჩეული ნიმუშია, რომლის მშენებლობაც ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა დააფინანსა. ენოთეკა, რომელიც ამ ისტორიულ კომპლექსში მდებარეობს, საუკუნოვან მემკვიდრეობას ინახავს და ქართული მეღვინეობის მნიშვნელოვან საგანძურს წარმოადგენს.

ღონისძიებას საქართველოს მთავრობის წევრები, „შატო იკემის“ პრეზიდენტი პიერ ლურტონი, საერთაშორისო სააუქციონო სახლებისა და მედიის წარმომადგენლები, ღვინის უცხოელი კოლექციონერები, ასევე საქართველოს ღვინის ინდუსტრიისა და ბიზნეს წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

Belagro 2026

4 ივნისს, ბელარუსის რესპუბლიკის დედაქალაქ მინსკში მიმდინარე საერთაშორისო გამოფენის „Belagro 2026” ფარგლებში, საქართველო-ბელარუსის ბიზნესფორუმი გაიმართა. ღონისძიების მიზანი ორ ქვეყანას შორის აგროსასურსათო სექტორში სავაჭრო თანამშრომლობის გაღრმავება და ახალი ბიზნესკავშირების ჩამოყალიბებაა. ბიზნესფორუმი ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მეხუზლამ და ბელარუსის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრ იაკოვჩიცმა გახსნეს. ქართული კომპანიების წარმომადგენლებმა ფორუმის მონაწილეებს პრეზენტაციის ფორმატში, ქართული ღვინისა და

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ასორტიმენტი და საექსპორტო შესაძლებლობები გააცნეს. ბიზნესფორუმში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პავილიონში წარმოდგენილი ქართული ღვინისა და აგროსასურსათო პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლებმა. შეხვედრას სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე გიორგი ავალიანი და საქართველოში ბელარუსის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიკოლაი როგაშჩუკი ესწრებოდნენ.

საერთაშორისო გამოფენაზე „Belagro 2026“ საქართველოს პავილიონი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით და სოფლის განვითარების სააგენტოსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით იყო წარმოდგენილი. გამოფენაში მონაწილეობდნენ ქართული ღვინისა და აგროსასურსათო პროდუქციის მწარმოებელი კომპანიები.

საერთაშორისო გამოფენა „Belagro“ ერთ-ერთი უმსხვილესი საერთაშორისო პლატფორმაა რეგიონში, რომელიც სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და აგროსასურსათო სექტორის წარმომადგენლებს აერთიანებს.

ქართული ღვინის წარდგენა ბელგიაში

6 ივნისს, ბელგიის სამეფოს დედაქალაქ ბრიუსელში, ფესტივალი „ქართული ბუნებრივი ღვინის დღე“, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა. ფესტივალზე წარდგენილი იყო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების შვიდი მწარმოებლის სხვადასხვა დასახელების ღვინო. ღონისძიებას ღვინის პროფესიონალები, იმპორტიორები, მედიისა და ჰორეკა სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ, რომელთაც შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ ქართული ღვინის ისტორიას, ტრადიციებს, კულტურას და თანამედროვე ინდუსტრიას. მსგავსი ფორმატის ღონისძიებებში ქართული ღვინის წარდგენა, ევროპის ღვინის ბაზარზე ცნობადობის ზრდისა და ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიების საუკეთესო შესაძლებლობაა.

ქართული ღვინის წარდგენა გერმანიაში

1 ივნისს, გერმანიის ქალაქ დუსელდორფში, 12 ივნისს ქალაქ კიოლნში და 13 ივნისს ქალაქ ბერლინში, ქართული ღვინის დეგუსტაციები ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „ff.k. Public Relations“ ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიებების მთავარი კონცეფცია იყო ქართული ღვინის შეხამება ადგილობრივ სამზარეულოსთან. დეგუსტაციას HoReCa (სასტუმრო, რესტორანი, კაფე) სექტორიდან ღვინის პროფესიონალები დაესწრნენ. ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ, გერმანიის ბაზარზე საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, მარკეტინგულ კომპანიასთან

„ff.k Public Relations" ღვინის ეროვნული სააგენტო 2021 წლიდან თანამშრომლობს. კამპანიის ფარგლებში, დეგუსტაცია-სემინარები გერმანიის სხვადასხვა ქალაქში ღვინის პროფესიონალების, ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებისა და მომხმარებლებისთვის იმართება; ქართული ღვინო წარმოდგენილია საერთაშორისო გამოფენებზე, ხორციელდება მიზნობრივი სარეკლამო და მედია კამპანიები; მედიის, ღვინის პროფესიონალებისა და გაყიდვების სფეროს წარმომადგენლებისთვის ეწყობა საქართველოში ღვინის ტურები.

გერმანელი ღვინის პროფესიონალების ტური საქართველოში

9-14 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations" ორგანიზებით, საქართველოს გერმანიიდან ღვინის პროფესიონალები, ჟურნალისტები, ბლოგერები და ინფლუენსერები სტუმრობდნენ. 9-კაციანი ჯგუფის წევრები ქართლსა და კახეთში ღვინის მწარმოებელ კომპანიებსა და მარნებს ეწვივნენ, დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო, გაეცნენ ქვევრის დამზადების ტექნოლოგიებსა და პროცესს. ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, გერმანულ კომპანიასთან „ff.k Public Relations" ღვინის ეროვნული სააგენტომ თანამშრომლობა 2021 წლიდან დაიწყო. აქტიური პოპულარიზაციის კამპანია მიმდინარე წელსაც გრძელდება. კამპანიის ფარგლებში, დეგუსტაცია-სემინარები გერმანიის სხვადასხვა ქალაქში ღვინის პროფესიონალების, ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებისა და მომხმარებლებისთვის იმართება; ქართული ღვინო წარმოდგენილია საერთაშორისო გამოფენებზე, ხორციელდება მიზნობრივი სარეკლამო და მედია კამპანიები, მედიის, სომელიეებისა და გაყიდვების სფეროს წარმომადგენლებისთვის ეწყობა ღვინის ტურები საქართველოში.

Georgian Grand Tasting

11 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი პოლონური მარკეტინგული კომპანიის „People PR" ორგანიზებით, ვარშავაში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია „Georgian Grand Tasting" გაიმართა. ღონისძიებას, რომლის მიზანი ქართული ღვინის პოპულარიზაცია და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციაა, პოლონელი ღვინის პროფესიონალები, იმპორტიორები, სტუმარმასპინძლობის სექტორის (HoReCa) და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. დეგუსტაციაზე წარდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 40 კომპანიის სხვადასხვა სახეობის პროდუქცია. აღნიშნული ფორმატის ღონისძიება ქართველი მწარმოებლებისთვის საუკეთესო შესაძლებლობაა, რომ პოლონელ იმპორტიორებთან და დისტრიბუტორებთან დაამყარონ საქმიანი კონტაქტები და, შესაბამისად, გაზარდონ გაყიდვები. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინის მასტერკლასები, რომლებსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე ანა გოდაბრელიძე, სააგენტოს ღონისძიებების კოორდინატორი ირაკლი

ჩოლობარგია, პოლონელი სომელიეები იან კნობერი და სიმონ მილონასი უძღვებოდნენ. ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations“ ორგანიზებით, საქართველოს გერმანიიდან ღვინის პროფესიონალები, ჟურნალისტები, ბლოგერები და ინფლუენსერები სტუმრობდნენ.

The Ultimate CEE Wine Fair

16 ივნისს, დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის ,,Swirl Wine Group“ ორგანიზებით, ქართული ღვინის წარდგენა ლონდონში, ფესტივალზე „The Ultimate CEE Wine Fair“ გაიმართა. ფესტივალი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მეღვინეებს აერთიანებს. ღონისძიების სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, დაეგემოვნებინათ ქართული ღვინის მწარმოებელი 20-მდე კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინო. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინის მასტერკლასიც, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული ქართული ღვინოები. მასტერკლასს მედიის, კომერციული და HoReCa სექტორის 40-მდე წარმომადგენელი დაესწრო.

Food and Wine Classic Aspen 2026

19-21 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” ორგანიზებით, ქართული ღვინის წარდგენა აშშ-ში, კოლორადოს შტატში, ქალაქ ასპენში ყოველწლიურ ფესტივალზე „Food and Wine Classic Aspen 2026” გაიმართა. ფესტივალის ათასობით სტუმარს შესაძლებლობა მიეცა, ქართულ სტენდზე 12 დასახელების ღვინო დაეგემოვნებინა. სამდღიანი ფესტივალის ფარგლებში, ჩატარდა ქართული ღვინის პროფესიული პრეზენტაცია-დეგუსტაცია „8’000 Years in 8 Glasses“, რომელსაც კომერციული სექტორის წარმომადგენლები და მომხმარებლები დაესწრნენ. დეგუსტაციას ამერიკელი სომელიე, ღვინის ჟურნალისტი ერიკ სეგელბაუმი (Eric Segelbaum) უძღვებოდა. ქართული ღვინო ასევე წარდგენილი იყო ორ მასტერკლასზე, რომელიც ღვინის სფეროში ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ჟურნალისტმა და ექსპერტმა ვანდა მენმა (Wanda Mann) ჩაატარა. ფესტივალის ერთ-ერთი სპონსორი ღვინის ეროვნული სააგენტო იყო.

ქართული ღვინის წარდგენა შვეიცარიის კონფედერაციაში

26 ივნისს, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, შვეიცარიის კონფედერაციის ქალაქ ჟენევაში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის პრეზენტაცია-

დეგუსტაცია გაიმართა. ღონისძიებას HoReCa სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინო სტუმრებს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამთა ყველაიძემ და სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარემ, ანა გოდაბრელიძემ გააცნეს. ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო აქტიურად აგრძელებს მარკეტინგული აქტივობების განხორციელებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის შვეიცარიის კონფედერაციაში. აღნიშნულ ბაზარზე მსგავსი ღონისძიებების ჩატარება მიზნად ისახავს ქართული ღვინის საექსპორტო არეალის გაფართოებასა და ბაზრების დივერსიფიცირების პროცესის ხელშეწყობას.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, აქტიური თანამშრომლობა გაგრძელდა ისეთ საერთაშორისო მედია საშუალებებთან და გამომცემლობებთან, როგორიცაა: Gambero Rosso TV , TV SOMM TV, New York Post, Seven Fifty, daily Vine Pair და Grapefriend.

ექსპორტი

მიმდინარე წლის 6 თვეში საქართველოდან მსოფლიოს 60 ქვეყანაში ექსპორტირებულია 117,3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 37,7 მლნ ლიტრი ღვინო. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა 9%-ით, ხოლო ღირებულება 4%-ით შემცირდა.

ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: უკრაინა - 3% (2 204 149.76 ლიტრი), ჩინეთი - 2% (1 737 357.6 ლიტრი), გერმანია - 22% (784 007.2 ლიტრი), თურქეთი - 24% (330 786.9), დიდი ბრიტანეთი - 18% (177417.75 ლიტრი), ბულგარეთი - 51% (84334.5 ლიტი), ნიდერლანდები - 17% (52641 ლიტრი).

სპირტიანი სასმელების ექსპორტი 43 ქვეყანაში განხორციელდა. ჯამში ექსპორტირებულია 14,3 მლნ ლიტრი, 114,3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტირებული სპირტის რაოდენობა 24%-ით, ხოლო ღირებულება 7%-ით შემცირდა.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge, https://www.facebook.com/nationalwineagency/

ხარისხის კონტროლი

ღვინის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურები უწყვეტ რეჟიმში აგრძელებენ ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის მონიტორინგს, რათა ქართული ღვინო სრულად აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს, ინარჩუნებდეს კონკურენტუნარიანობას და გლობალურ ბაზრებზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდოს.

საანგარიშო პერიოდში, 24 კომპანიაში განხორციელდა 61 საინსპექციო კონტროლი. აღებული 177 ნიმუშიდან დარღვევა აღმოჩნდა 3 კომპანიის 8 ნიმუშში. 1 კომპანიაში განხორციელდა 4 სახელმწიფო ზედამხედველობა, აღებული 4 ნიმუშიდან დარღვევა არ აღმოჩნდა არცერთ ნიმუშში.

შიდა ბაზრის კონტროლის ფარგლებში, შემოწმდა 23 ობიექტი, აღებული 16 კომპანიის 34 ნიმუშიდან დარღვევა აღმოჩნდა 10 კომპანიის 14 ნიმუშში.

გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების „Bureau Veritas“ და „SGS“-ის მიერ ინსპექტირება გახორციელდა 45 კომპანიაში, აღებული 127 ნიმუშიდან დარღვევა აღმოჩნდა 3 კომპანიის 3 ნიმუშში.

sაექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა სულ 6771 განაცხადი. შემოსული განაცხადების საფუძველზე გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია: VI-1 ფორმის სერტიფიკატი /ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის/ - 2371 ცალი; შესაბამისობის სერტიფიკატი - 6261 ცალი; სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე, ღვინის ეროვნული სააგენტოს სერტიფიცირების სამმართველოს მიერ, გაცემულია სულ 8632 სერტიფიკატი.

სააგენტოს მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის მიერ, ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, 68 დეგუსტაცია ჩატარდა. სულ სადეგუსტაციოდ წარდგენილი იყო 3301 ნიმუში, საიდანაც ტესტირება ვერ გაიარა 121-მა, დადებითად შეფასდა 3180-ს. სავალდებულო დეგუსტაციას ექვემდებარება ყველა საექსპორტო და ასევე ადგილობრივ ბაზარზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები. ალკოჰოლური სასმელის ნიმუშის ორგანოლეპტიკური ტესტირება ხდება ფერსა და

გამჭირვალობაზე, ტიპურობაზე, დაავადებების არსებობაზე, არომატზე, გემოსა და ჰარმონიულობაზე. შეფასება ხდება ხუთქულიანი სისტემით. დადებით შედეგად ითვლება, თუ შეფასების ბალური მაჩვენებელი ტოლია ან მეტი 1,5 - ზე.

ვენახების კადასტრის პროგრამა

საანგარიშო პერიოდში, „მევენახეობის განვითარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, შემდეგი სამუშაოები განახორციელა:

საკადასტრო მონაცემების დამუშავება და დაზუსტება: ვენახების კადასტრის მონაცემთა ბაზის სრულყოფისა და მუდმივი განახლების მიზნით, სააგენტოს თანამშრომლები უწყვეტ რეჟიმში ამუშავებდნენ და აზუსტებდნენ საკადასტრო მონაცემებს. აღნიშნული პროცესი მოიცავდა მევენახეთა მონაცემებში ცვლილებების ასახვას, ახალი ვენახების რეგისტრაციას, ამოძირკვის ფაქტების დაფიქსირებასა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის განახლებას. საანგარიშო პერიოდში სულ გაიცა **1019 ვენახის ამონაწერი.**

საველე შემოწმებები: მონაცემთა სანდოობისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად, კახეთის, ქართლის, იმერეთის, რაჭის, ლეჩხუმის, სამეგრელოსა და მესხეთის მევენახეობის ზონებში ჩატარდა საველე შემოწმებები, რომელთა ფარგლებშიც გადამოწმდა **226 მევენახის საკუთრებაში არსებული 358 ნაკვეთი**.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge, https://www.facebook.com/nationalwineagency/

დოკუმენტაციის დაარქივება: საანგარიშო პერიოდში ასევე მიმდინარეობდა 2021-2022 წლებში გაცემული დოკუმენტაციის დაარქივება.

2025 წლის ანგარიშის მომზადება და გამოცემა: გასული წლის მონაცემების ანალიზისა და დამუშავების საფუძველზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე მომზადდა და გამოიცა **„საქართველოს ვენახების კადასტრის 2025 წლის ანგარიში“** (64 გვერდი). ნაშრომში წარმოდგენილია ღვინის ეროვნული სააგენტოს ვენახების ერთიანი კადასტრის სტატისტიკური ანგარიში 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას საქართველოს ვენახებისა და მევენახეების შესახებ. ანგარიში განკუთვნილია როგორც პროფესიონალების, ისე მევენახეობის საკითხებით დაინტერესებული მოყვარულებისათვის.

ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტის“ განხორციელება დაიწყო 2014 წელს „ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის“ (31.03.07) პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანი საქართველოს ღვინის კულტურის უძველეს კერად დადასტურებული ქვეყნისათვის ახალი მონაცემების შეგროვებაა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში, მევენახეობა-მეღვინეობის უწყვეტი ისტორიის რეკონსტრუქცია, მევენახეობა-მეღვინეობის აგრონომიული და ენოლოგიური პოტენციალის გამოკვლევა და ქართული ღვინის პოპულარიზაციაა. ამ მიზანს ის ასრულებს მულტიდისციპლინარული კვლევების ფორმატში, რომელშიც ჩართული არიან ქართველი და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების და სამეცნიერო ცენტრების მეცნიერები.

საანგარიშო პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაეწია არქეოლოგიური გათხრების მხარდაჭერა მარნეულის რაიონში, სოფ. იმირის მახლობლად მდებარე „შულავერის კულტურის“ (ძვ. წ. 6000 წელი) ნეოლითურ ნასახლარზე სახელწოდებით „გადაჭრილი გორა“ მევენახეობა - მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალის მოპოვების მიზნით მათი შემდგომი შესწავლისათვის მიმდინარე წლის 25 მაისიდან 12 ივნისის ჩათვლით. მოპოვებული მასალა აღიწერა და დამუშავდა შესაბამისი მეთოდიკის დაცვით; ნაწილი გადაეცემათ შესაბამისი პროფილის სამეცნიერო ჯგუფებს სხვადასხვა მეთოდებით (არქეობოტანიკური, პალეობოტანიკური, ბიო-მოლეკულური) შესწავლისათვის.

- საქართველოს ვენახებში გავრცელებული ჯიშების მოლეკულური მეთოდებით იდენტიფიკაციის მიზნით ხელშეკრულება იქნა გაფორმებული კონელიანოს (იტალია)

მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევით ცენტრთან (იტალია) და საანალიზოდ გაგზავნილი იქნ საქართველოს ვაზის იშვიათი ჯიშის 10 ნიმუშის კალმები.

- საქართველოს ველური ვაზის შესწავლის ფარგლებში ორგანიზებული იქნა საველე ექსპედიციები რაჭის, ლეჩხუმის, იმერეთის და ქართლის მევენახეობის რეგიონებში ინვენტარიზაციის, ადგილზე აღწერისა და ადგილმდებარეობის კოორდინატების დაზუსტების მიზნით; განხორციელდება ამეპოგრაფიულო ორგანოების ფოტოგრაფირება; აღებული იქნა საჰრებარიუმე მასალა; ჯიღაურას კოლექციაში მოეწყო კალმების გასამრავლებელი სანერგე.

- ვაზისა და ვაზის ჭრაქის (*Plasmopara viticola*) ურთიერთქმედების დნმ-ის მეთილირების დინამიკის ლაბორატორიული შესწავლის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება მილანის (იტალია) უნივერსიტეტთან. სამუშაოს უხელმძღვანელებს ამ უნივერსიტეტის პროფესორი გაბრიელა დე ლორენცისი. კვლევაში ჩართული იქნება ვაზის ჯიში მგალობლიშვილი.

- დაბეჭდილი იქნა პროექტის მიერ დაწესებული სერიის „ქართული ვაზი და ღვინო: ლიტერატურული მემკვიდრეობის“ მეშვიდე წიგნი: ლ. ე. ჯორჯაძის „მევენახობა და ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესობა ხელთმძღვენელობისათვის კახური ღვინის მაყენებლებისა“. ეს წიგნი, გამოცემული პირველად 1876 წელს, წარმოდგენს ისტორიული ღირებულების მქონე ერთ-ერთ პირველ ქართულენოვან დარგობრივ ნაშრომს, სადაც განხილულია მევენახეობისა და მეღვინეობის თემების დიდი მრავალფეროვნება და მათი მგდომარეობა მეცრამეტე საუკუნის ამ პერიოდისათვის.

საკანონმდებლო ცვლილებები

ცვლილებები შევიდა „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად, შეიცვალა „მცირე ზომის მარნის“ დეფინიცია და მისი წლიური წარმადობის მაქსიმალური ზღვარი 40 000 ლიტრიდან 25 000 ლიტრამდე მცირდება. ამასთან, ტერმინი „სახლის ღვინო“ შეიცვალა ტერმინით - „ბუნებრივი ღვინო“, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის წარმოებას სისტემური პესტიციდების, ჰერბიციდებისა და სხვა ქიმიური სინთეზური საშუალებების გამოყენების გარეშე.

კანონპროექტით სავალდებულო ხდებასერტიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელების ნიშანდება. ალკოჰოლიანი სასმელის ნიშანდებას ღვინის ეროვნული სააგენტო განახორციელებს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge, https://www.facebook.com/nationalwineagency/

გარდა ამისა, როგორც საექსპორტოდ, ისე ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე რეალიზაციისთვის განკუთვნილი ყველა კატეგორიის ღვინო დაექვემდებარა სავალდებულო ორგანოლეპტიკურ შემოწმებას, გარდა „ბუნებრივი ღვინის" კატეგორიისა.

ღვინის ეროვნულ სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა აქტიურად შუქდება ბეჭდურ, ელექტრონულ, სოციალურ და სატელევიზიო მედიაში:

http://wine.gov.ge/, *https://www.facebook.com/nationalwineagency/*

https://www.instagram.com/nationalwineagency

https://www.youtube.com/channel/UC0CPwXo8f7-QA329kmicFwQ

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge, https://www.facebook.com/nationalwineagency/